საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის თვეში ორჯერ № 20 (1808) 20 დეკემბერი, 2003 •

„ვარდების რევოლუცია“ გერმანულ სარკეში

გვ. 2

«გველესიანის მკვლელობა სიზმარი»

„სააკაშვილს ძალუძს ზოგადეროვნული ძალისხმევის სტიმულირება და წარმართვა“

გვ. 4

კარიკატურა: მურთაზ აბაშიძისა



„ფრანკფურტერ ალგემაინე“

„შევარღნაძე თავს ამერიკელთა მსხვერპლად თვლის“

გვ. 3

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

აშშ სახმელეთო ჯარების ოფიცერთა კადრების მომზადება

გვ. 4

ბაზ. «ფრანკფურტერ ალგემაინე»

მსოფლიო ძალთა ჭიდილი კავკასიაში

გვ. 3

www.opentext.org.ge/sakart

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. „ვეფხვი"

„ვარდების რევოლუციე" გერმანულ სარკეში

შევარდნაძეს გერმანიაში ამ ბოლო წლებში ყარგი ჰრესა არ ჰქონდა. „მდაბიურად" რომ ვთქვათ, ცუდი ჰრესა ჰქონდა. მაგრამ ნოემბრის არჩევნების შემდეგ რომ თბილისში შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა გაისმა, გერმანული ჰრესა ამას, _ იქ მყოფი ქართველების დიდი ნაწილისა და მათი გერმანული მეგობრებისდა გასაკვირად და გულდასაწყვეტად, _ ცუდად შეჰხვდა. უფრო მეტიც: თვალში საცემად ცუდად შეჰხვდა. შევარდნაძე ლამის თანამედროვე დემოკრატად გამოაჩინეს, რომელსაც მისმა ნაკლებ თანამედროვე ხალხმა ვერ გაუგო. გასაკვირი, სწორედ რომ ვთქვათ, ამაში არაფერი იყო. ამ დამოკიდებულების „გაშიფრვა" ადვილად შეიძლებოდა იმით, რომ რუსეთისკენ უკვე მზესუმზირასავით საკსებით მიბრუნებული შევარდნაძის გაძევება დღესდღეობით გეო- პოლიტიკურად სტრატეგიული თანამდებობიდან აღიქმებოდა როგორც ამერიკელთა კამათლებზე დამყარი დიდი დუ-ბაში, ევროპელები კი, მოგეხსენებათ, ცოტა არ იყოს უკმაყოფილონი არიან შერთებული მტკბებისა იმის გამო, რომ თავის ძალიან გააქტიურებულ აღმოსავლურ პოლიტიკას ეს უკანასკნელნი დღეს ევროპელთა მონანილეობის გარეშე ატარებენ. მაგრამ გერმანული მედია მალე გაერკვა საქმის ვითარებაში და ექს დიქტატორს ხრდილობიანი, მაგრამ ადექვატური შეფასება მისცა.

ვბეჭდავთ ორივე შეფასების ნიმუშებს:

«გველეშაპის მკვლელთა სიზმარი»

რევოლუციონერები გვარწმუნებენ, ეს ვარდების რევოლუცია იყოო. ამიტომაც მისი ერთ-ერთი გმირი მიხეილ სააკაშვილი თბილისის ქუჩებში ვარდით დადის, როცა სერიოზული სიტუაცია იქმნება. მარტივი სურათები, რომლებიც რთულ ვითარებას ასახავენ, საქმეს უადვილებენ გლობალურ სატელევიზიო დემოკრატიას, რომელსაც აქამდე ეგონა, ჯორჯია ტენესის შტატის სამხრეთითაა, ახლა კი საათობით ხედავს საქართველოს თავის ეკრანზე.

გამოსახულებები რუსეთის სამხრეთ საზღვართან მდებარე ოთხ მილიონიან ქვეყანას გვიხატავს, სადაც ამას წინათ დაამხეს სახელმწიფოს მეთაური,მსოფლიო დიპლომატიის გამოჩენილი ფიგურა რომ იყო ერთ დროს და ბოლოს რომ თავის სამშობლოში დესპოტად ითვლებოდა – სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე.

რევოლუციონერები ამბობენ, შევარდნაძე კორუმპირებული იყო და საქართველო უფსკრულის პირას მიიყვანაო. ამას ამბობენ რევოლუციონერები და, მათ გარდა, ქუჩაში გამოვლილი ხალხიც. რუსთაველის გამზირზე - იმ ქვეყნის დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე, ერთ დროს რომ ღვინოების, ხილისა და თამბაქოს სიმდირით იყო განთქმული, აუარებელი ხოტბა შესხმული მხატვრები, სპორტსმენები და კლოუნები ჰყავდა, დღეს კი მის დაცემას ხელით შეგიძლიათ შეეხოთ. კედლებთან მათხოვრები სხედან, ასიოდე მეტრის ინტერვალით.



საშუალო შემოსავალი 7 ევროა თვეში. ეს ორი კიროგრამი ხორცის ფასია. მაღალი რანგის მოხელეებს შინ 50 ევრო მიაქვთ თვიურად. ხალხი გვეუბნება, შევარდნაძეს თანამოქალაქეებზე რომ ეფიქრა, ახლაც თანამდებობაზე იქნებოდაო.

გასულ კვირადღეს რომ გაისმა, პრეზიდენტი გადადგაო, სიხარულის ფეიერვერკი აბრიალდა. უცნობნი ერთმანეთს ეხვეოდნენ, თავებს ზემოთ წმ. გიორგის ჭედური გამოსახულებები იყო აღმართული – საქართველოს მეოხი წმინდანისა, რომელიც ამხედრებული გველეშაპს კლავს. ბრბო უკეთეს დროთა მოგონებით ბღაოდა „გაუმარ-ჯოს".

სალაპარაკოდ ის იყო, რომ შევარდნაძე, თითქოს, ხელს უწყობდა ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას. სინამდვილეში კი საქმე ის იყო, რომ მისი უმუშევრობით, უდენობით და კორუფციით სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა, რომლის მთლიანი პროდუქცია საბჭოთადროინდელის 40% – ს თუ შეადგენს, ახალ მმართველობას ითხოვდა. გერმანიის ერთიანობის ნათლიას ბოლოსდაბოლოს ნერვებმა უღალატეს.

ასეა თუ ისე, ის სამეული თანავარსკვლავედი, დღეს რომ ვარდის ნიშნის ქვეშ ქართული ელიტის შეცვლის სურათის დახატვას ცდილობს, მანამდე ბებერი მბრძანებლის მზის სისტემაში ტრიალებდა. ესენი არიან „ტუტსიდ" სახელშერქმეული ნინო ბურჯანაძე, რომელიც პურის წარმოების კომუნისტი მინისტრის ქალიშვილია და ამჟამად დროებითი პრეზიდენტია, ყოფილი სპიკერი მშვიდი ზურაბ ჟვანია და რევოლუციური სცენის მგზნებარე გმირი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც პრეზიდენტზე წარმატებული იერიშის დროს შევარდნაძის ჭიქით ჩაი შესვა, როგორც თავისქალებზე მონადირემ მოკლული მტრის სისხლი.

ეს კაცი 1995 წელს შევარდნაძის დავალებით აშშ – ში მიიმხრო ჟვანიამ, ახლა კი მას 4 იანვარს ტახტზე ასვლა სურს. დღეს იგი „ნაციონალური მოძრაობის" შეფია. კარგად აცვია, დაუბრკოლებლად ლაპარაკობს ინგილსურად. თავისებური ჰამილ ქარზაია (ავღანეთის დღევანდელი ლიდერი. რედ.), ოღონდ სამხრეთ კავკასიელი.

იგი იუსტიციის მინისტრი იყო. შევარდნაძის ხათრით აშშ მიატოვა. ნიუ-იორკში სამართლის მაგისტრობა მიიღო და ვაშინგტონში დოქტორობა. პეტერსენისა და სხვათა საადვოკატო ფირმაში წარმომადგენლად იყო იმავე დროს, როცა თბილისში უკვე პოლიტიკოსად იყო. ეს ფირმა მრჩველად ემსახურება, სხვა საქმეებთან ერთად, ინვესტორებს, რომლებსაც საქმე აქვთ ნასაბჭოვარ სახელმწიფოებთან, და მუშაობს იმ ექსპერტებთან რომელთაც საქმე აქვთ კასპიის ნავთობთან.

საქართველო ნავთობსადენის სატრაზიტო ქვეყანაა, რომლითაც 2005 წლიდან ნავთობი იდენს კასპიის ზღვის აზერბაიჯანული ნაპირიდან თურქეთში. საქართველო იმის გარანტია, რომ დასავლეთს ამ ნივთიერების გასაჭირი არ შეექმნება, თუკი რუსეთი თავის ონკანს გადაკეტავს და ახლო აღმოსავლეთი გიჟურ თამაშზე წავა.

ამგვარად, აშშ – მა კავკასიის სამხრეთში საზღვაო ქვეითი ისტრუქტორები გამოგზავნეს ქართული ელიტური რაზმის მოსამზადებლად. 1998 –2003 წლებში მათ 1,5 მილიარდი დოლარის დახმარება გაწიეს და თან ახალისებენ ინვესტორებს, რომ საქართველოში დარჩნენ. მაშინღა, როცა ცხადი ხდება, რომ ამ ხარჯს შედეგი არა აქვს – რაც ნათლად ირკვევა თბილისში ყოფილი საგარეო მინისტრის ბეიკერის და მისი სენატორის მაკ ლეინის ვიზიტების შემდეგ, – ხდება შევარდნაძეზე ხელის ჩაქნევა. შევარდნაძე ეცემა და ამას ღია ეთერში ხედავს მსოფლიო სი – ენ-ენის საშუალებით.

მაგრამ ვიდრე ევროპა საკუთარი საქმეებით იყო გართული და კავკასიისთვის არ ეცალა, პირველ ყოვლისა – არ ეცალა ქართველების მიერ დიდად პატივცემულ გერმანიას, – საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე კრიზისის განგაში ატყდა. რუსეთი, რომელმაც საქართველო 1801 წელს გადაყლაპა, შიშობს თავის ინტერესების დაზარალებაზე, თუ საჭესთან სააკაშვილის სახით ამერიკაში გაზრდილი პოლიტიკოსი მივა. იგი „ფსიქიკურად არამდგრადიაო", ამბობენ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები საბჭოთა დროის კილოზე.

რუსეთი საქართველოსთვის გაზის და დენის პირველი მომწოდებელია. სამხედრო ბაზები აქვს ზღვასთან ბათუმში და თითქმის ავტონომიური სომხური დასახლების ზონაში ახალქალაქში. პირველ ყოვლისა კი რუსეთი გარანტია საქართველოს სეპარატისტული რესპუბლიკებისა – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა – და კეთილგანწყობილი მეგობარია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა თურქეთის საზღვართან.

სამი განდგომილი რესპუბლიკის ბელადები გასულ კვირას უკვე მოსკოვში გაფრინდნენ იქაური გამოძახებით, თბილისში კი ამ დროს იმაზეა მსჯელობა, რით დაფინანსდება მოახლოებული არჩევნები. ეს სმნი გამოხატავენ „აღშფოთებას" თბილისში მომხდარი ხელისუფლების შეცვლის გამო. აჭარამ თბილისთან მაერთებელი ყველა არხი ჩაკეტა. მოსკოვური რეაქციაც გამოიყურება როგორც დაუფარავი მუქარა თბილისისა და ვაშინგტონისთვის: „ვინც ასეთ აქციებს ორგანიზებას უკეთებს და აქეზებს, დიდ პასუხისმგებლობას კისრულობ საქართველოს მიმართ" – ამბობს პუტინი.

სამთავრობო გაზეთი „იზვესტია" კი უფრო შორს მიდის: იგი ლაპარაკობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესაძლო მიერთებაზე რუსეთისადმი – რა თქმა უნდა, ამათივე „თხოვნით" – და მოსკოვის უფლებაზე, რომ ენერგიის მიწოდება დაბლოკოს. მაშინ, ცივ ბნელ ღამეებში დემოკრატების ხელისუფლებაში მოსვლისაგან გამოწვეული ეიფორია ცოტა არ იყოს განელდებაო.

მოსკოვი მიემხრო

(მოკლე შინაარსი)

ივანოვი კვირას ნაშუადღევსაც (23X) ხაზგასმით ამტკიცებდა თბილისში, მოსკოვს მხოლოდ შუამავლობა უნდა და საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებსო. საეჭვოა, რომ მისი ვინმეს სჯეროდა შევარდნაძის მომხრეთა ან მოწინააღმდეგეთა შორის. რადგან რა არის რუსული ნეიტრალიტეტი, ამიერკავკასიაში ყველამ კარგად იცის. ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთმა აშკარად სომხების მხარე დაიჭირა. იგი შეებრძოლა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას და ებრძვის საქართველოსას. რუსეთი ეწინააღმდეგება საქართველოდან ბაზების გაყვანას და ღიად უჭერს მხარს სეცესიონისტურ ავტონომიებს – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. აფხაზეთი რუსეთთან მიერთების „ლოდინის მდგომარეობაშია".

საქართველოც და აზერბაიჯანიც ისწრაფიან, რომ რუსეთისაგან დამოუკიდებლობა დასავლეთთან – ძირითადად, ამერიკელებთან – კავშირით განიმტკიცონ. აზერბაიჯანს დასავლეთის ყურადღების მიპყრობაში ეხმარება ნავთობი, საქართველოს – ის მაღალი ავტორიტეტი, რაც შევარდნაძეს წილად ჰხვდა მისი მონაწილეობისას ცივი ომის დამთავრების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფრანკფურტერ ალგემაინე“

„შევარდნაძე თავს ამერიკელთა მსხვერპლად თვლის“

შევარდნაზე თავს შეთქმულების მსხვერპლად თვლის. ჩემი ჩამოგდება მიზანმიმართულად გეგმეს, ამაში ამერიკულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი როლი ითამაშესო – ასე გვეუბნება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი. იგი დაღლილი და ნაწყენი ჩანს. „ჩემი გადადგომისთვის ყველა წანამძღვარი შექმნეს, რადგან იცოდნენ, რომ არ ვისროდი, და ეს გამოიყენესო“. ასე თქვა შევარდნაძემ უცხო გაზეთებთან, მათ შორის – „ფრანკფურთერ ალგემანესთანაც“ საუბარში თავის ქალაქგრე ვილაში თბილისის განაპირას.

ჩემი ჩამოგდება თვეების მანძილზე ამზადესო. ერთმა ორგანიზაციამ ამისთვის მილიონები დახარჯაო (მას მხედველობაში ჰყავს ამერიკელი მილიარდერის ჯორჯ სოროსის დაარსებული ფონდი „ოფენ სოსაითი“). ჩემი ჩამოგდების გეგმას ერქვაო „კმარა – 3“, ამავე სახელის მატარებელი სტუდენტური ორგანიზაციის მიხედვით. ეს ორგანიზაცია მოქმედებდაო ბელგრადელი სტუდენტების ორგანიზაციის მაგალითისამებრ, რომელმაც ითამაშა მნიშვნელოვანი, მაგრამ ალბათ არა გადამწყვეტი როლი მილოშევიჩის მშვიდობიანი გადაგდების პროცესში. მაგარამ თუ ეს იცოდა, რატომ არაფერი მოიმოქმედა, ამას შევარდნაძე ვერ ხსნის.

შევარდნაძეს უნდა, ისტორიაში შევიდეს როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც დიდი სისხლისღვრის ხიფათი ააცილა ქვეყანას. და მას ჰსურს, თავი ისე მოგვაჩვენოს, თითქოს დარწმუნებულია, რომ, თუკი მოისურვებდა, მოვლენათა განვითარების სხვაგვარად წარმართვა შეეძლო. „არმია და პოლიცია ყველა ბრძანებას შემისრულებდნენ“ – გვიმტკიცებს იგი. მაგრამ ჯარისკაცებისა და პოლიციელების დაძმობილება დემონსტრანტებთან ჯერ კიდევ მის გადადგომამდე იყო მომხდარი. დემონსტრანტები რომ პარლამენტში შევიდნენ, ისინი არ შეაჩერეს შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც შენობას იცავდნენ.

შევარდნაძეს არ უნდა იმის ცნობა, რომ საპარლამენტო არჩევნები ნოემბრის დამდეგს დიდი გაყალბებით წარიმართა. „სერიოზული დარღვევა არ მომხდარაო“, „ჩვენ არჩევნების გაყალბება სულ ადვილად შეგვეძლოო.“ „მაგრამ ჩვენმა პარტიამ აბსოლუტური უმრავლესობაც კი არ მიიღოო“. იგი გვიმტკიცებს, პარალელურმა დათვლამ, რომელიც ამერიკელებმა დააფინანსეს, დაახლოებით იგივე შედეგები გვიჩვენაო – რაც, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაშია ფაქტებთან, რომლებიც მარტო საკაშვილის მოძრაობისთვის 8%-იან უპირატესობას გვიჩვენებს შევარდნაძის პარტიასთან შედარებით.

შევარდნაძე არ უარყოფს, რომ ათიათასობით ქართველმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან თავისი გვარი ამომრჩეველთა სიებში ვერ ნახა. „ჩემი მეუღლეც კი სიებში არ აღმოჩნდაო“. მაგრამ ამაში იგი ბრალს სდებს უცხოურ ორგანიზაციებს, რომელთაც, მისი სიტყვით, გააჟალბეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები, როცა მათი კომპიუტერში გადატანა ხდებოდა. ეს პროტესტის პროვოცირების მიზნით გაკეთდაო. მაგრამ ელექტრონულად შექმნილი სიები არჩევნებში სულაც არ ყოფილა გამოყენებული: სინამდვილეში ამერიკულმა ორგანიზაციამ „აი – ეს – ეფ – ი – დიმ“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები კომპიუტერში გადაიტანა და ინტერნეტის საშუალებით ყველასათვის ხილული გახადა. სამი კვირის მანძილზე შეცდომების გასწორება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. ასე შედგა, უცხოეთის ელჩთა აზრით, თაედაპირველადვე შედარებით სანდო სიები. ის, რომ არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე კვლავ ხელნაწერ საარჩევნო სიებს მიჰმართეს, ერთი დასვლელი დიპლომატის სიტყვით,სპეციალურად იქეთ იყო მიმართული, რომ არჩევნები გაყალბებულიყო.

მაგრამ შევარდნაძეს ყოველივე ამის დანახვა არ სურს. საქართველოს ეკონომიკის დაცემაზე ლაპარაკიც კი უსაფუძლოაო, წლეულს 11%-იანი ზრდა გვაქვსო, ენდემური კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ვაპირებდი, მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმეაო. „დამისახელეთ ქვეყანა, სადაც კორუფცია არ იყოს“ – გვეუბნება და თემას კეტავს. იგი ესარჩლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერს ასლან აბაშიძეს, რომლის მხარდაჭერითაც ბოლოს ისარგებლა: „იგი, ბოლოსდაბოლოს, მამაცი კაციაო“. აბაშიძეს რომ ბათუმში ვესტუმრე, მთელი ქალაქი სტადიონზე შეყარა, რათა საქართველოს მთლიანობის დემონსტრირება მოეხდინაო – აქებს იგი დიქტატორს.

სსრკ-ს ყოფილი საგარეო მინისტრი ზრუნავს იმ წარმოდგენაზე, რომელიც მსოფლიომ მის შესახებ უნდა შეიქმნას. იგი თვითონ შეგვახსენებს თავის დამსახურებას გერმანიის გაერთიანების საქმეში და ევროპის განთავისუფლების საქმეში. „მაშინ ჩვენ მესამე მსოფლიო ომი ავიცილეთ. არ ვიყავი მე ამის მონაწილე?“ იგი ახსენებს იმასაც , რომ 1990 წელს გააფრთხილა საზოგადოება საბჭოთა კავშირში დიქტატურის შექმნის საფრთხის შესახებ, რაც ჩაბეტონებულმა კომუნისტებმა 1991 წლის აგვისტოში მართლაც ცადეს. მოსკოვში თეთრი სახლის წინ დემოსტრაციაში მაშინ მონაწილეობა მეც მივიღეო. იგი მონდომებულია, ისტორიაში დემოკრატად შევიდეს, და ამბობს, „ამას ყველაფერს ერთ მშვენიერ დღეს დავწერო.“ ჩემთვის უსაყვედურებიათ, საქართველოში მეტისმეტად დიდ დემოკრატიას უშვებო. „მაგრამ ზედმეტი ან მეტისმეტად ცოტა დემოკრატია არ არსებობს. არსებობს მხოლოდ დემოკრატია“. – ამბობს შევარდნაძე, რომელიც გვიღებს თავის მკაცრად დაცული ქალაქგარე ვილის ერთ სასტუმრო ოთახში, სადაც კედლებზე ამ სახლის წინა პატრონთა სურათები კიდია, 50 წლის წინანდელი დროიდან დღემდე.

ახალ ხელისუფლებას – პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილს, დროებით პრეზიდენტს ბურჯანაძეს და დანიშნულ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჟვანიას წარმატებას ვუსურვებო. ესენი „ახალგაზრდა, განათლებული, ნიჭიერი ადამიანები არიანო,“ მათ მხოლოდ სახელმწიფო საქმეებში გამოცდილება აკლიათო. „მზად ვარ, მათ რჩევით დავეხმარო, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს რჩევა ყოველთვის უნდათო.“ როგორც არ უნდა განვითარდეს საქართველოში მოვლენები, პოლიტიკაში აღარ დავბრუდებიო. „ასეთია ჩემი მყარი ნებაო“. ბუნდესკანცლერმა შემომთავაზა გერმანიაში ჩასვლაო. „მან მითხრა, რომ შემიძლია იქ სიცოცხლის ბოლომდე ვიცხოვრო და არაფრის გაჭირვება არ მექნება“, ამის ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან საქართველოში ცხოვრება მინდაო. შევარდნაძე 30 წლის მანძილზე განსაზღვრავდა თავისი ქვეყნის ბედს, იგი ერთ-ერთი იყო საბჭოთა დროიდან შემორჩენილთა შორის. მისი გადადგომით დამთავრდა ერთი ეპოქა. სტუმრებს რომ გვაცილებს, მის სახეს სევდის იერი დაჰკრავს. გერმანიაში სახლის ყიდვაზერაზეც ლაპარაკია, არაფერს ამბობს. მაგრამ ერთ-ერთი მასთან ნამყოფი სტუმრის სიტყვით წიგნების თაროზე უდევს ბადენ-ბადენის შესახებ წიგნი.

გაზ. „ფრანკფურტერ ალგემაინე“

მსოფლიო ძალთა ჭიდილი კავკასიაში

ვაშინგტონმა, ფაქტობრივად, შევარდნაძის გადადგომისთანავე ცნო ახალი გარდამავალი ხელისუფლება. პაუელმა ბურჯანაძეს მაშინვე ტელეფონით გამოუცხადა თანადგომა. ამერიკელებმა ახალ ხელისუფლებას არჩევნების ჩატარებაში დახმარება აღუთქვეს და შევარდნაძეს მისი ნაბიჯისთვის მადლობა გადაუხადეს.

აშშ მთავრობამ შევარდნაძე 2 ნოებბრიდან ერთი კვირის თავზე უკვე გააფრთხილა, რომ მხარს ველარ დაუჭერს. მაილსი სისტემატურად ხვდებოდა ოპოზიიცის ლიდერებსაც და შევარდნაძესაც. შევარდნაძეს დიდხანს ჰქონდა იმედი, რომ კრიზისს გადაიტანდა. მაგრამ აშშ საელჩომ არჩევნებიდან კვირის თავზე ასეთი განცხადება გაავრცელა: „შეცდომებმა და მოტყუებამ არჩევნების პროცესში საქართველოს მრავალ მოქალაქეს წაართვა არჩევნების კონსტიტუციური უფლება“. შუა ნოემბერში მაილსი შევარდნაძეს კიდევ შეხვდა, რის შემდეგაც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელიმ განაცხადა ვაშინგტონში: „შევარდნაძეს ესმის, რა ღრმად ვართ შეწუხებულნი, და შესაბამისად მოიქცევა“.

ამერიკული მედია იმ აზრისაა, რომ შევარდნაძის ბედი ივანოვის ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი იმის გამო, რომ ვაშინგტონმა მას ზურგი შეაქცია. მათ მიაჩნიათ, რომ „მსოფლიო ძალთა თამაშის პროცესში, რომელიც ცივი ომოის დროს ჰგავს, მაილსმა ამერიკაში განათლებამიღებული ადვოკატი სააკაშვილი გათიშული ოპოზიციის ლიდერად და შევარდნაძის შესაძლო მონაცვლედ ჩამოაყალიბა“.

1999 წელს, როცა ელცინმა შევარდნაძეს სთხოვა, პანკისის ხეობა რუსებისთვის პლაცდარმად დაეთმო ჩეჩნებზე დასარტყმელად, საქართველოს პრეზიდენტმა მას უარი უთხრა და ამერიკელების მხარე დაიჭირა. სამაგიეროდ ამერიკელებმა საქართველოს ასობით მილიონი დოლარი მისცეს და არმიის შექმნაში დახმარება დაუწყეს. ბაქო – ჯეიჰანის არც თუ რენტაბელური ნავთობსადენი ძნელად თუ აშენდებოდა, კლინტონის პოლიტიკური დახმარება რომ არა.

ნატო ნაწილობრივ გამოდის ბალკანეთიდან

ნატო გეგმავს კოსოვოში განლაგებული 27000 მემშვიდობე ჯარისკაცის რიცხვის შემცირებას 13000–მდე. 2004 წლის ბოლოსათვის იქ 6300–ღა დარჩება. ბოსნიაში განადგურებული უცხოელების რიცხვიც 12000-დან 7000-მდე ჩამოვა. თავის მისწრაფებას,რომ ბალკანეთში განლაგებული თავისი მემშვიდობეების რიცხვი შეამციროს, ნატო ხსნის იმით, რომ „მდგომარეობა უმჯობესდება“, მაგრამ სინამდვილეში მნიშვნელოვანი მიზეზია ისიც, რომ იგივე ჯარები ნატოელებს ერაყის სამშვიდობო ფუნქციებისთვისაც დასჭირდებათ (ალბათ) და ავღანეთის ასეთივე ფუნქციებისთვისაც. ამასთან დიპლომატები ირწმუნებიან, რომ კრიზისის შემთხვევაში არ მიატოვებენ ბედის ანაბარად ბალკანელთა ზემოხსენებულ ქვეყნებს.

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტი (სსფ) მხარს უჭერს მ. სააკაშვილის კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე შემდეგი ოთხი მოტივით:

1. მ. სააკაშვილის კანდიდატურას მხარს უჭერს ერისა და მოსახლეობის უმრავლესობა მადლიერებით იმის გამო, რომ მან წარმატებით უხელმძღვანელა პრეზიდენტის თანამდებობიდან უზურპატორი და ტირანი შევარდნაძის უმსხვერპლოდ მოცილების საქმეს, და იმედით იმის გამო, რომ მასში ქვეყნის პრობლემის დაძლევის, მათ შორის–კორუფციის დაძლევის მყარ ნებას ხედავს. ამგვარად, მ. სააკაშვილი ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელსაც ძალუძს ზოგადეროვნული ძალისხმევის სტიმულირება და წარმართვა.

2. მ. სააკაშვილის პოლიტიკური სიტყვა და მოქმედება ასპარეზზე მისი გამოჩენიდან დღემდე ავლენს მყარ ორიენტაციას დასავლეთზე, რაც საქართველოს ინტერესთა დაცვისათვის უალტერნატივო პოზიციაა. უფრო მეტიც: საქართველოს აქტიური მხარდაჭერა დღეს ამიერკავკასიაში მიმდინარე ძირითადი გეოპოლიტიკური პროცესისადმი–შუა აზიისკენ დასავლური დემოკრატიის მოძრაობისადმი–საჭიროა და აუცილებელია არა მხოლოდ დასავლეთზე ზოგადპოლიტიკური ორიენტაციის გამო, არამედ საქართველოს კონკრეტული სასიცოცხლო ინტერესის გამოც: დასავლური დემოკრატიის ეს მოძრაობა რეგიონს იცავს იმ კოლოსალური მილიტარული, დემოგრაფიული და პოლიტიკური წნეის შექმნისაგან ცენტრალურ აზიაში, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს წალეკავს.

3. მ. სასაკაშვილის პოლიტიკური ჯგუფი დღეს პრაქტიკულად, ის ერთადერთი ჯგუფია, რომელსაც დასავლეთი უყოყმანოდ დაუჭერს მხარს შევარდნაძისა და მისი პრორუსული კომუნისტური ხროვის რევანშისტული მცდელობის მოგერიებაში.

4. სსფ-ის მხარდაჭერას, ისევე როგორც საქართველოს პოლიტიკური საზოგადოებრიობის მხარდაჭერას საერთოდ, მ. სააკაშვილის კანდიდატურა საჭიროებს იმიტომ, რომ ხელისუფლებისაგან პრორუსული დიქტატურის მოცილების პროცესი ჯერ დამთავრებული არ არის. აშკარად ჩანს, რომ რუსეთის განშტოებული აგენტურა მზადაა გამოიყენოს უკიდურესი საშუალებები, დიდმასშტაბიანი ტერაქტებისა და დივერსიების ჩათვლით, რათა საქართველოში ხანგრძლივი ქაოსი და 'უბედურების ზონა" შექმნას. სსფ მზადაა ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის მოგერიების პროცესში მონაწილეობისათვის ყველა ფორმით.

„სააკაშვილს ძალუძს ზოგადეროვნული ძალისხმევის სტიმულირება და წარმართვა"

თუმცა სსფ-ისთვის დღეს უცნობია მ. სააკაშვილის და მისი გუნდის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად, სსფ იმედოვნებს, რომ ეს პროგრამა სრულად ასახვას და შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო მშენებლობისა და მთავარ უშუალო საშიშროებათაგან მისი დაცვის ძირითად ინტერესებს, რასაც წარმოადგენს:

– რუსეთის სამხედრო ბაზების და 'სამშვიდობო" ძალების გაყვანა და 'ენგედან" საქართველოს გამოსვლა დაუჟ ოვნებლივ. ГРУ-ს (Главныи Разведуправление Генштаба) საქართველოში მოქმედების რადიკალური აღკვეთა.

– არსებული დასავლური ორიენტაციის მიყოლა. სათანადო მრავალმხრივი (ნატო) და ორმხრივი ხელშეკრულებების დადების ჩათვლით.

– აფხაზეთის ავტონომიურ.. სტატუსის სასწრაფოდ ფორმულირება და საქართველოს კონსტიტუციაში სათანადო მუხლების შეტანა. ამ ფორმულირების პრინციპები უნდა იყოს: აფხაზეთი არ არის აფსუა ('აფხაზი") ხალხის ქვეყანა, არამედ იგი ამ ტერიტორიის ავტოსთონი, ქართველი ხალხის და აფსუა ('აფხაზი") ხალხის ქვეყანაა. აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არის ამ ორი ხალხის ნების, აგრეთვე აფხაზეთის ყველა კანონიერი მაცხოვრებლის ნების ტოლქმედი. აფხაზეთის პრობლემა საქართველოს შინაგანი პრობლემაა და იგი ინტერნაციონალურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეხება რუსეთის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ. 1992-93 წლების ომი აფხაზეთში იყო რუსულ-ქართული ომი.

– ცხინვალის პრობლემის ინტერნაციონალიზაციის მოხსნა ამავე წესით. სახელის 'სამხრეთ ოსეთი" უკანონობის ოფიციალური განცხადება. ცხინვალის რეგიონის ოსური დიასპორის, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს ოსური დიასპორის და სხვა დიასპორების ინტერესთა, მათ შორის – სპეციფიკურ ეროვნულ ინტერესთა დაცვა ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიულ მექანიზმთა და ფუნქციური ავტონომიის მექანიზმთა განვითარების გზით.

– იმ პრინციპის აღიარებიდან გამომდინარე, რომ საქართველო, როგორც დედამიწის ერთ-ერთი ნაწილი არის ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი ნაწილის, ქვეყანა. სახელმწიფოს ერთ-ერთ ნიშნად იმის აღიარება, რომ შეიქმნას ობიექტური პირობები საქართველოს მარადიულიყოფისათვი'ს. როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, ანუ ისეთი სახელმწიფოსი, რომელსაც 'საქართველო" ჰქვია და რომლისც თავის მოქალაქეს ქართული ენით ელ-პარაკება.

– გადაჭრით უარის თქმა საქართველოს ფედერალიზაციაზე, რადგან იგი ორი თაობის მანძილზე დაშლის არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ქართულ ზოგადეროვნულ ცნობიერებასაც:

– გადაჭრით უარის თქმა ორმაგი მოქალაქეობის შემოღებაზე (რადგან იგი საქართველოში შექმნის უცხო ქვეყნების მიერ მართული და უცხო ქვეყნების მიერ იარაღით 'დაცული" მოსახლეობის მასივებს).

– გადაჭრით უარის თქმა უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვაზე (რადგან ამით ქართველი ხალხი უმიწაწყლოდ გადაიქცევა რამდენიმე წლის მანძილზე).

– გადაჭრით უარის თქმა 1944 წელს საქართველოდან და სომხეთიდან დეპორტირებულ მუსლიმანთა შთამომავლობის დასახლებაზე საქართველოში 2012 წლამდე მთლიანად და ევროსაბჭოს ეგიდით.

– უარის თ; საქართველოსთვის სასიცოცხლოდ საჭირო ეკონომიკური სიმძლავრეების გასხვისებაზე. საქართველოს ეკონომიკური ხერხემლის მშენებლობაში სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ფუნდამენტალური განათლების მქონე ახალგაზრდა კადრის განვითარებაზე ორიენტაციით.

სახელმწიფო პოლიტიკის ამ ძირითად ამოცანათა და პრიორიტეტთა გააზრებისათვის, დასაბუთებისათვის, პროპაგანდისათვის და სათანადო კადრის მომზადებისათვის სახალხო ფრონტი საჭიროდ თვლის ეროვნული მიმართულების და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური პარტიების, ჯგუფებისა და პიროვნებების ქმედით თანამშრომლობას, რომელიც დემოკრატიული ხელისუფლების არსებობის პირობებში ისევე საჭიროა, როგორც უზურპატორული ანტიეროვნული რეჟიმის პირობებში.

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

წერილი 6. აშშ სახმელეთო ჯარების ოფიცერთა კადრების მომზადება

(დასასრული)

აშშ არმიაში თანამედროვე ეტაპზე „მაიორის" წოდების მისაღებად აუცილებელია საოფიცრე თანამდებობებზე მინიმუმ 11 წლის ნამსახურება „ვიცე-პოლკოვნიკის" – 16 და „პოლკოვნიკის" – 22 წლისა, გარდა ამისა, „ბატალიონი – პოლკი – ბრიგადის" რგოლში ან დივიზიისა და საარმიო კორპუსის შტაბებში შესაბამისი თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელია ნამსახურება კაპიტნების, მაიორების, და ვიცე – პოლკოვნიკების მიერ, რომლებმაც სახმელეთო ჯარებში საოფიცრე თანამდებობებზე იმსახურეს 10-15 წელი, არ არიან 38 წელზე მეტი ასაკის, ფიზიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით ვარგისნი არიან ზემდგომ თანამდებობებზე სამსახურისთვის, გადამზადების გასავლელად აგზავნიან აშშ შეიარაღებული ძალების საშტაბო სკოლებში ან საარმიო სამეთაურო-საშტაბო კოლეჯებში.

აშშ შეიარაღებული ძალების საშტაბო კოლეჯი (ბ. ნორფოლეკი, ვირჯინიის შტატი) ამზადებს სამეთაურო-საშტაბო შემადგენლობას აშშ შეიარაღებული ძალების ყველა სახეობისთვის, და მათ შორის სახმელეთო ჯარებისთვისაც. კოლეჯში სწავლის ხანგრძლივობა 5 თვეა. მსმენელები სწავლობენ საჯარისო ნაწილების, შენაერთებისა და გაერთიანებების საბრძოლო გამოყენების საფუძვლებს, ერთობლივი ოპერაციების ჩატარების დაგეგმვასა და ა.შ. ყოველწლიურად კოლეჯი უშვებს ორ გამოშვებას, რომლებზედაც მსმენელების საერთო რაოდენობა წელიწადში შეადგენს 300-500 ოფიცერს. შესაბამისად კოლეჯის კურსდამთავრებულები მზად არიან „ბატალიონი – კოლეჯი – ბრიგადა" რგოლში და ზემდგომ შტაბებშიც სათანადო თანამდებობებზე სამსახურისთვის.

აშშ საარმიო სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი (ფორტ-ლივენუერტი, კანზასის შტატი) ამზადებს ძირითადად „ბატალიონი – პოლკი – ბრიგადა" რგოლში მეთაურებისა და შტაბის ოფიცრების შემადგენლობას, აგრეთვე დივიზიისა და საარმიო კორპუსის შტაბის ოფიცრებს. სწავლის ხანგრძლივობა დაახლოებით 10 თვეა (წელიწადში ერთი გამოშვება). კოლეჯში სწავლობენ შემდეგ საგნებს: სავარაუდო მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია და ამოცანები, ჯარების მართვის საფუძვლები, მთავარი ფორმირებებისა და აშშ შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების (საჰაერო ძალები, საზღვაო ძალები, საზღვაო ქვეითი ჯარი) ფორმირებების მოქმედებათა ტაქტიკა, ამბოხებულებისა და პარტიზანების წინააღმდეგ მოქმედებების ორგანიზება და ა.შ. კოლეჯის კურსდამთავრებულთა წლიური რიცხოვნება აქაც 300-500 ადამიანია.

აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებულ მაიორებს და ვიცეპოლკოვნიკებს ნიშნავენ ბატალიონების მეთაურებად ან პოლკების (ბრიგადების) შტაბის ოფიცრებად, ასევე დივიზიებისა და საარმიო კორპუსების შტაბებში შესაბამის თანამდებობებზე. მათი შედგომი დაწინაურება მიმდინარეობს პოლკოვნიკისა და ბრიგადის გენერლის სამხედრო წოდების მიღების, პოლკის ან ბრიგადის მეთაურის თანამდებობის, ან შემდგომ შტაბებში სათანადო თანამდებობების მიღების მიმართულებით. და ეს ყოველივე ხდება საჯარისო ნაწილებისა და შტაბებში ოფიცრების ყოველდღიური სამსახურის, საჯარისო და სამეთაურო საშტაბო სწავლებებსა და მსხვილმასშტაბიან მანევრებში მონაწილეობის პროცესში. როგორც უკვე ავღნიშნეთ, მაიორის მიერ ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მისაღებად აუცილებელია მინიმუმ 5 წლის სამსახური, ხოლო შემდეგ პოლკოვნიკის წოდების მისაღებად – კიდევ არა ნაკლებ 6 წლისა. ამასთანავე, ოფიცრების მიერ ნაწილობრივი ან სრული საპენსიო ანაზღაურების მისაღებად აუცილებელია საოფიცრო თანამდებობებზე ერთიდან – ოცი წლის სამსახური.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აშშ არმიის ოფიცრებს მორიგეობით უნდა ნიშნავდნენ სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე. ვთქვათ, ოცეულის მეთაურად, შემდეგ აწინაურებდნენ ასეულის მართვაში, მერე ასეულის მეთაურად, შემდეგ ბატალიონის შტაბის ოფიცრად, შემდეგ ბატალიონების მეთაურად, ბრიგადის შტაბის ოფიცრად, ბრიგადის მეთაურად და ა.შ. ყოველივე ამით მიზნად ისახავენ, ჯარებისა და შტაბების საქმიანობის ერთმანეთთან დაკავშირებასა და დაახლოებას. ამავე დროს სახმელეთო ჯარების სამინისტროს ან თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატებში, აგრეთვე გაერთიანებულ შტაბში სამსახურისთვის ნებისმიერი რანგის ოფიცრებს ნიშნავენ მხოლოდ დროებით, სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ისინი კვლავ უბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ნაწილებს, რათა არ მოხდეს მათი კვალიფიკაციის დაქვეითება და პროფესიონალიზმის შესუსტება.

აშშ არმიაში ოფიცრების მიმართ წაყენებული მზარდი მოთხოვნების საკომპენსაციოდ და სამსახურის სტიმულირებისთვის ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა მიმართავს მატერიალური წახალისების სხვადასხვანაირ ფორმებს. გარდა ამისა, ოფიცერთა კორპუსში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნასა და კარიერიზმის ამოძირკვის მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საკადრო საკითხების გადაჭრის საჭიროებას, ოფიცრების მიერ საკუთარი პერსპექტივის სრულ გათვითცნობიერებას, მომავლის რწმენას.

ჯარებს და შტაბებში დადგენილი ვადით სამსახურის შემდეგ უფროსი ოფიცრების ერთ ნაწილს ირჩევენ

(გაგრძელება გვ. 6)

ბანცილვის საგანი – ამერიკელთა როლი მსოფლიოში

სადამ ჰუსეინის დაჭერის ამბავმა იმედის შუქი შეიტანა, ცოტა არ იყოს, მოწყენილ მსოფლიოში. ზუსტად სამი კვირის წინანდელი The ekonomist – მსოფლიოს ეს უდავოდ პირველი პოლიტიკური ჟურნალი – თავის მოწინავე წერილში სევდიან, მაგრამ ოპტიმისტურ ტონალობაში იხილავს ამერიკელების როლს მსოფლიოში და მათ ურთიერთობას სხვებთან. ეს სწორედ ის დრო გახლავთ, როცა პესიმიზმის პოზიციები ყველაზე ძლიერია– როცა ინგლისში ჩასულ ბუშსაც და მის მასპინძელ ბლეირსაც ლონდონის ქუჩებში საკმაოდ უმაყოფილო დემონსტრანტების დანახვა მოუხდათ. გთავაზობთ (ძირითად ხაზებში) ამ სახელოვანი ბრიტანული ჟურნალის თვალსაზრისს.

„სიტუაციის ზოგადი ფონი ის არის, რომ ბუშმა და ბლეირმა ვერ აჩვენეს მსოფლიოს მასობრივი მოსპობის ის იარაღი, რომელსაც აწ უკვე დიდი ხნის დამარცხებული ჰუსეინის ფარულ არსენალებში ეძებდნენ. ამგვარად, მათდამი ნდობა შესუსტდა. ბუშს და ბლეირს (დემონსტრანტების მხრიდან) ჰბრალდებათ ერაყისადმი უსამართლობაც, პლანეტის მოტყუებაც კიოტოს ხელშეკრულებაზე ხელის არმოწერის ჩათვლით. (ეს ხელშეკრულება ეხება მსოფლიო დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ ეკოლოგიურ ამოცანას) და „იმის ვერხედვაც, რომ იზრაელი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის პირველი მტერია“. თვით სტამბულში მომხდარი აფეთქებებიც კი, რომლებშიც ინგლისი დაზარალდა, ბევრს მიაჩნია იმის სამაგიეროდ, რომ ინგლისელები ახლო აღმოსავლეთში ამერიკულ კურსს მისდევენ. ჟურნალი კითხვას სვამს: რა იწვევს ამ განწყობილებათა გავრცელებას?.

მის ზრდას, ჟურნალის აზრით, სამი წყარო აქვს – და სამივე ზერელე. პირველია გავრცელებული ილუზია, თითქოს ერაყის ომამდე ყველაფერი კარგად იყო და მდგომარეობის ნომალიზაციას მკვეთრი ნაბიჯები არ სჭირდებოდა. სინამდვილეში მშვიდობა არც მანამდე იყო და გაეროც საკმაოდ უძლური იყო მისი დამყარების საქმეში: იგი არ ჩაერია მაშინ, როცა უნდა ჩარეულიყო საქმეში (მაგ. მან დაუშვა დიდი გენოციდი



რუანდაში) და წააგო, როცა ჩაერია (ვერავის უშველა სრებრენიცაში და სომალიში). კოსოვოელ მუსლიმანთა გადარჩენის ოპერაციასაც გაერომ თავისი დასტური მხოლოდ მას შემდეგ მისცა, რაც იგი უკვე ჩატარებული იყო. ერაყიც ომამდე პრობლემას წარმოადგენდა, რომლის გადაუჭრელად დატოვება დაუშვებელი იყო: ჰუსეინი უგულებელყოფდა გაეროს რეზოლუციებს, 1991 წლის ომის შემდეგ დადებულ პირობებს და ა.შ. მეორეა ილუზია, თითქოს ერაყელთა მდგომარეობა ომის შედეგად გაუარესდა (ჟურნალის აზრით, პირიქით, მათ ამოისუნთქეს). ეს ილუზია ილუზიად რჩება მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს ერაყში მეტი წინააღმდეგობა შეჰხვდა, ვიდრე ელოდნენ, რის გამოც ისინი რისკზე მიდიან და აპირებენ, ხელისუფლება ამ ზაფხულშივე გადასცენ ადგილობრივ დროებით მთავრობას, ნაცვლად იმისა, რომ დემოკრატის ხანგრძლივი შენების აქამდე დაგეგმილ პროგრამას დაადგენენ. ამერიკელთა საბედნიეროდ, მათ დღეს ერაყში მხოლოდ სუნიტური უმცირესობა ებრძვის, მაგრამ არა შიიტები და ქურთები. მესამეა ილუზია, თითქოს, რაკი ერაყის ომით დაზარალდა ფრანგულ-ამერიკული მეგობრობა, ამერიკულ-[illegible] ამური ურთიერთობები და უშიშროების [illegible] საბჭოს პრესტიჟი, ეს მოტივები საკმარისია, რათა ამერიკელებს ხელი ააღებინოს მათი სასიცოცხლო ინტერესების დაცვაზე. ეს არ მოხდება და მსოფლიოს რეალურმა პოლიტიკამ ეს იცის. „როცა ამერიკელებს საყვედურობენ, მსოფლიო პოლიციელივით იქცევიო, სინამდვილეში სწორედ ამის საპირისპირო მუცლის გვრემა აქვთ: ამერიკელებს აქვთ იმის კუნთები, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა გატარებინება შეძლონ, მაგრამ ისინი არ არიან თანახმა, უშიშროების საბჭოს ხელი იყონ და სხვა არაფერი. ყველა სხვა ეროვნულ სახელმწიფოსავით ისინი პირველ რიგში თავისი ეროვნული ინტერესების გატარებას ცდილობენ“. ბლეირს რომ ამერიკელთა მონურ მორჩილებას უსაყვედურებენ, მართალნი არ არიან. რადგან ბლეირის და მის პოზიციაზე მდგომების ცდა ის არის, რომ ამერიკელები დაარწმუნონ, თქვენი ინტერსების გატარება საერთაშორისო ინსტიტუტებისა და კავშირების ჩარჩოში გირჩევნიათ, ვიდრე მის გარეთო. ასე ფიქრობს კოფი ანანიც. ამიტომაც აქვს მას განზრახული მსოფლიოს გამოჩენილ გონებათა შეკრება იმის მოსაფიქრებლად, რომელია კაცობრიობის უმჯობესი პასუხი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ გამოწვევაზე.

ბლეირის ტაქტიკას, რომ მოენახა მსოფლიო სუპერ ძალის გვერდზე ცხოვრების გონივრული ფორმა, ლახვარი ჩასცა გაეროს უძურებამ, რომელიც ერაყის ომის წინ გამოჩნდა. მეორეს მხრივ, ამერიკელთა გასაჭირმა ერაყში მშვიდობის მოგების საქმეში აიძულა ისინი, მოკავშირეები უფრო დიდი მონდომებით ეძებონ. ამიტომაც ამერიკელების და ინტერნაციონალისტების (იგულისხმება – საერთაშორისო ორგანიზაციათა მოღვაწეების) თანამშრომლობის პერსპექტივა რეალურია.

ჩვ ეჩუჯეჯს ევროპელეჯს ევათს კონსტიტუციაზე?

უშედეგოდ დამთავრდა ევროპის სახელმწიფოთა დიდი თავყრილობა ევროპის მომავალი კონსტიტუციის თაობაზე, რომლის პროექტი შედგენილია საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ჟისკარ დ' ესტენის ხელმძღვანელობით. რაზე ვერ თანხმდებიან მონაწილე სახელმწიფონი? გთავაზობთ ამ თემაზე The economistis თვალსაზრისს.

ავტორებმა, მათი სიტყვით, გაითვალისწინეს ყველა შესაძლო შეპასუხება, ანუ ყველა შესაძლო პრეტენზია მონაწილეთა მხრიდან და შექმნეს ჰარმონიული დოკუმენტი, რომელიც ისე დეტალურადაა გათვლილი, რომ შეხებისთანავე – ანუ მასში რამის შეცვლის მცდელობისთანავე – დაიმსხვრევა, ანუ ვიღაცისთვის მიუღებელი გახდება. მაგრამ მთავრობათშორისმა კონფერენციამ, რომელიც ახლახან დასრულდა, ამ გაფრთხილებას ყურადღება არ მიაქცია. შედეგიც სახეზეა.

კამათის მთავარი საგანია მონაწილე ქვეყნების წონა ევროპის მინისტრთა საბჭოში. შემოთავაზებული წინადადება იყო: კანონი (გადაწყვეტილება) გავა იმ შემთხვევაში, თუ მას ხმა მისცა მონაწილე ქვეყნების უმრავლესობამ, ხოლო ეს უმრავლესობა ქვეყნებისა წარმოადგენს ევროკავშირის მოსახლეობის სამ მეხუთედს. ამით ზარალში აღმოჩნდნენ ესპანეთი და პოლონეთი, ამიტომაც ისინი ამ პუნქტის წინააღმდეგ მიდიან. გადაწყდა, რომ დანარჩენმა 23-მა ქვეყანამ უნდა დაითანხმოს ესპანეთი და პოლონეთი ამ პუნქტის მიღებაზე. მაგრამ რადენიმე თვის წინ ინგლისელებმა მიანიშნეს ესპანელებს, რომ მხარს დაუჭერენ ამ საკითხში, თუ ესპანელები სამაგიეროდ მხარს დაუჭერენ წინააღმდეგობაში გადასახადთა ჰარმონიზაციის პუნქტისადმი. ამ ცოტა ხნის წინ ბრიტანელებმა არ დაადასტურეს, რომ ეს შეთანხმება ძალაშია, არამედ განაცხადეს, რომ მათ მხოლოდ „სიმპათია გამოთქვეს“ ამ პოზიციისადმი. შემდეგ ბრიტანეთის საგარეო მინისტრმა სტროუმ განაცხადა, რომ ბრიტანეთი არ დაეთანხმება არაფერს, რაც მიუღებელი იქნება პოლონეთისათვის, რის სამაგიეროდაც, როგოც ჩანს, მან მიიღო პოლონეთის პირობა, რომ პოლონეთი მხარს დაუჭერს ბრიტანულ პოზიციას საგადასახადო და სათავდაცვო პოლიტიკის შესახებ.

გერმანია, რომელიც ძალიან მოგებულია ზემოხსენებული პუნქტით, დაბეჯითებით ითხოვს მის მიღებას. მაგრამ სხვა ქვეყნების წრმომადგენლებისთვის ადრევე ცხადი გახდა, რომ კენჭისყრით ეს აზრი არ გავა. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა ევროპელები მიუბრუნდნენ სამი წლის წინ ნიცაში მიღებულ გეგმას, რომლის თანახმად პოლონეთს და ესპანეთს ექნებათ თითქმის იგივე ხმა, რაც გერმანიას, თუმცა მათი მოსახლეობები გერმანიისაზე ორჯერ მცირენი არიან.

ამ წინააღმდეგობებს დაძლევის პირი არ უჩანს მიუხედავად იმისა, რომ ევროკონსტიტუციის პროექტს დიდი და, ჟურნალის სიტყვით, „თვალის მომჭრელი“ ზოგადპოლიტიკური ამბიციები აქვს. ამ პროექტს ჰსურს, გავრცელდეს სამართალდაცვისა და თავდაცვის სისტემებზე, გადასახადებზე, ბიუჯეტზე, ენერგეტიკაზე. ამაღელვებელია (რადგან წევრ სახელმწიფოთა აზრის სხვადასხვაობას იწვევს) საკითხი, როგორ იქნას განხილული დანაშაული, რომელიც რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება. ერთობლივი თავდაცვა სხვადასხვაგვარად გამოიყურება სხვადასხვა ქვეყნების

თვალში, თუ ამ სისტემიდან გამოირიცხებიან ზოგიერთნი. აქ სხვა აზრი აქვთ ცენტრალურევროპელებს, ბრიტანელებს და ფინელებს. ბრიტანელებს არც ერთიანი საგადსახადო სისტემა მოსწონთ და არც ერთობლივი პოლიტიკა ენერგეტიკაში. გერმანელებისთვის მიუღებელია საერთო ჩარევა იმიგრაციის საკითხებში. ამ მსხვილმა დეტალებმა შეიძლება გადაწონონ ისეთი პრაქტიკულად უკვე შეთანხმებული ისტორიულმასშტაბიანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, ევროსბჭოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, ევროკავშირის იურიდიული სუბიექტობა და ცალსახად დადასტურება იმისა, რომ კავშირის კანონებს უზენაესობა აქვთ შიდაეროვნულთან შედარებით.

მოსალოდნელია, რომ ამ მსხვილი დეტალების გამო დიდი „ხელის გადაწევა“ გაიმართება ბრიუსელში, პარიზში და ბერლინში. ამით შეიძლება გერმანელებს და ფრანგებს „ცდუნებაც“ და საბაბიც გაუჩნდეთ, რომ ერთმანეთში უფრო მჭიდრო ორმხრივი კავშირი შეკრან. ეს პერსპექტივა განსაკუთრებით ფრანგებს ხიბლავს.

რედაქციისაგან: იმედია, ამ ძირითადი ფაქტების ძუნწი ჩამოთვლაც იკმარებს, რათა ქართველ პოლიტიკოსებს დაანახვოს, რა დიდ როლს თამაშობს ევროკავშირში შემსვლელთათვის საკუთარი ეროვნული ინტერესები და რა დაძაბული დაფიქრება ჰმართებს ქართველ პოლიტიკოსს მანამდე, სანამ ამ კავშირში საქართველოს ყოფნას ინატრებდეს.

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

წერილი 6. აშშ სახმელეთო ჯარების ოფიცერთა კადრების მომზადება

შემდგომი სწავლებისა და გადამზადებისთვის „დივიზია – თეატრზე სარდლობა“ რგოლში სათანადო თანამდებობების დასაკავებლად. მათ განეკუთვნებიან – ვიცე-პოლკოვნიკები და პოლკოვნიკები, რომლებმაც საოფიცრო თანამდებობებზე იმსახურეს 16-დან 23 წლამდე. დაამთავრეს შეიარაღებული ძალების საშტაბო კოლეჯი ან საარმიო სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, არ არიან 46 წელზე უფროსი ასაკისა და ვარგისი არიან შემდეგი სამსახურის გასაგრძელებლად.

აშშ არმიის უმაღლესი ოფიცრების მოსამზადებლად სამხედრო სასწავლო დაწესებულებებია: საარმიო სამხედრო კოლეჯი, ეროვნული სამხედრო კოლეჯი და სამხედრო – სამრეწველო კოლეჯი. ისინი ამზადებენ გენერლებს „დივიზია – საარმიო კორპუსი – გაერთიანებული (სპეციალური) სარდლობის“ რგოლში სამეთაურო, საშტაბო და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე შემდეგი სამსახურისათვის. ამ ეტაპზე მსმენელების კოლეჯში სწავლების ვადა დაახლოებით ათი თვეა. ხოლო თითოეული კოლეჯის ყოველწლიური გამოშვება შეადგენს დაახლოებით 200 ბრიგადის გენერალსა და გენერალ-მაიორს.

საარმიო სამხედრო კოლეჯში (ქ. კარლაილ-ბერექში, პენსილვანიის შტატი) სწავლებისთვის კანდიდატურებს ამტკიცებს აშშ არმიის მინისტრი. სახმელეთო ჯარების უფროს ოფიცრებთან ერთად კოლეჯში იღებენ შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების უფროსი ოფიცრებისა და სამხედრო სამრეწველო კომპლექსის სხვა და სხვა უწყების სამოქალაქო მოსამსახურეთა უმნიშვნელო რაოდენობას. კოლეჯში სწავლობენ შემდეგ ძირითად საგნებს; ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, სტრატეგია, სამხედრო დაგეგმარებისა და პროგნოზირების საფუძვლები, სახმელეთო ჯარების გამოყენება შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ერთობლივ ოპერაციებში, აგრეთვე მოკავშირე და მეგობრული ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად.

ეროვნული სამხედრო კოლეჯი (ფორდ-მაენეირი, ქ. ვაშინგტონი) ამზადებს შეიარაღებული ძალების და მათ შორის სახმელეთო ჯარების უმაღლეს ოფიცრებს საგენერლო (საადმირალო) თანამდებობებზე შემდგომი სამსახურის გასაგრძელებლად. მსმენელები სწავლობენ საერთაშორისო ურთიერთობებს, სამხედრო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთობებს, სტრატეგიას, სამხედრო მშენებლობას, სამხედრო დაგეგმარებასა და პროგნოზირებას, სხვადასხვანაირ ომებში შეიარაღებული ძალების გამოყენებასა და სხვა დისციპლინებს.

სამხედრო-სამრეწველო კოლეჯი (ფორდ-მაენეირი, ქ. ვაშინგტონი) უშვებს მომზადების მაღალი დონის სპეციალისტებს ქვეყნის ეკონომიკის სამობილიზაციო გაშლის, აგრეთვე შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში. კანდიდატებს ისეთივე მოთხოვნებს უყენებენ, როგორც წინა ორ სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში ჩარიცხვისას.

მართალია, ზემოთაღნიშნული სამხედრო-სასწავლო დაწესებულებები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, მაგრამ მათი ცენტრალიზებული მართვისა და სამეთაურო-საშტაბო კადრების უფროსი და უმაღლესი რგოლის სწავლების პროცესის სრულყოფილების მიზნით ისინი გაერთიანებულია ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტში (ქ. ვაშინგტონი) 1990-იან წლებში ამ უნივერსიტეტში აღნიშნული ლექციების გარდა შედიოდა ეროვნული სტრატეგიული სწავლების ინსტიტუტი, საინფორმაციო წყაროებისთვის კოლეჯი და ბიბლიოთეკა.

აშშ არმიის უმაღლესი ოფიცრების ერთ ნაწილს ამზადებენ მოკავშირე ქვეყნების შესაბამის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში. გარდა ამისა, აშშ სახმელეთო ჯარებში ფუნქციონირებს კურსები საარმიო სამხედრო კოლეჯის უფლებით. ამასთანავე, მთლიანად შეიარაღებულ ძალებში არის რიგი სპეციალიზებული სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებისა, როგორებიცაა უცხო ენების სამხედრო ინსტიტუტი (ქ. მონტერეი, კალიფორნიის შტატი), სამხედრო დაზვერვის კოლეჯი (ქ. ვაშინგტონი), ინფორმაციისა და პროპაგანდის სკოლა (ფორტ-მენჯამინ ჰარისონი, ინდიანა), კარტოგრაფიის სკოლა (ფარტ-ბელვუარი, ვირჯინია) და ა.შ. ამერიკელი სამხედრო

სპეციალისტების აღნიშვნით, აშშ-ს ოფიცერთა კადრების მომზადების არსებული სისტემა ხელს უწყობს თავად ოფიცრების მისწრაფებას საკუთარი პროფესიული დონის ამაღლებისაკენ. ამ მიზნით, ზემოთაღნიშნული სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების გარდა 23-დან 29 წლამდე ნამსახურების მქონე ოფიცრებსა და გენერლებს სურვილის მიხედვით შეუძლიათ გაიარონ მათ ძირითად სამხედრო სპეციალობაში დამატებითი მომზადების კურსები.

აშშ-ს არმიაში უდაბლესი საგენერლო სამხედრო წოდებაა ბრიგადის გენერალი, რომელიც შეესაბამება ბრიგადის მეთაურის ან დივიზიის მეთაურის მოადგილის თანამდებობას, აგრეთვე შეუძლია იმსახუროს საარმიო (საჰაერო-სადესანტო) კორპუსის, სპეციალური ან გაერთიანებული სარდლების შტაბში შესაბამის თანამდებობებზე. შემდგომი წოდებაა გენერალ-მაიორი, რომელიც შეესაბამება დივიზიის მეთაურის ან კორპუსის მეთაურის მოადგილის თანამდებობას; შემდეგ მოდის გენერალ-ლეიტენანტი – კორპუსის მეთაური ან გაერთიანებული სარდლობის მთავარსარდლის მოადგილე; შემდეგ – გენერალი (სრული გენერალი) – გაერთიანებული სარდლობის (ვთქვათ ევროპაში აშშ შეიარაღებული ძალების სარდლობის) სახმელეთო დაჯგუფების სარდალი, არმიის შტაბის უფროსი ან მისი პირველი მოადგილე. შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

აშშ სახმელეთო ჯარებში გენერლების რაოდენობა დამოკიდებულია პირადი შემადგენლობის რიცხოვნებაზე და ყოველწლიურად განისაზღვრება კონგრესის მიერ მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტით.

ცივი ომის მიწურულს ყოველ 10 ათას სამხედრო მოსამსახურეზე მოდიოდა სხვადასხვა რანგის ოთხი-ხუთი გენერალი. მათგან 50% –ს შეადგენდნენ ბრიგადის გენერლები, 35% –ს – გენერალ-მაიორები, 15%-ს გენერალ-ლეიტენანტები, ხოლო ამ უკანასკნელთა 1/4-ს კი სრული გენერლები.

ზღვრული ასაკი გენერლებისთვის, ისევე როგორც უფრო დაბალი რანგის ოფიცრების და სერჟანტებისთვის 62 წელია. იგი შესაძლოა კიდევ ორი წლით გაიზარდოს მხოლოდ უმაღლესი სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის და ისიც აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილებით.

ასეთია ძირითადად აშშ-ს სახმელეთო ჯარების ოფიცერთა კადრების მომზადებისა და გადამზადების პროცესი მთელი მათი სამსახურის მანძილზე. ამის მსგავსი სისტემა გააჩნიათ რუსეთშიც, სადაც „ოცეული-ასეულის“ რგოლში ოფიცრების სწავლებას ახორციელებენ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში, „ბატალიონი-ბრიგადა“ რგოლში – სამხედრო აკადემიაში, ხოლო „დივიზია – თეატრზე სარდლობა“ რგოლში – გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში.

გერმანიაშიც მოქმედებს ოფიცერთა მთელი სამსახურის განმავლობაში მათი მომზადება – გადამზადების სისტემა, თუმცა ბუნდესვერის სპეციალისტები ამ პროცესს უფრო მჭიდროდ აკავშირებენ ოფიცრების მიერ სამხედრო სამსახურის გავლასთან და შესაბამისი კურსების მთელ რიგ ეტაპებს ორგანიზებას უკეთებენ თავად სამხედრო ნაწილებში.

ყოველივე ამის ფონზე საქართველოსთვის უწინარეს ყოვლისა საყურადღებო უნდა იყოს ის, რომ ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბება მეტად რთული, შრომატევადი და დროში გაწელილი პროცესია. თანაც მომზადების თითოეულ ეტაპზე მსმენელებს აძლევენ ძირითადად იმ ცოდნას, რომელიც აუცილებელია მათ მიერ უახლოეს 10–15 წელიწადში შემგომი სამსახურისთვის. ამასთანავე ოფიცრების გადამზადების ყოველ მომდევნო ეტაპზე კანდიდატების დასაშვებად აუცილებელია, მათ გავლილი ჰქონდეთ მომზადების წინა ეტაპი და ამის შემდეგ დადგენილი ვადებით იმსახურონ ჯარებში და შტაბებში შესაბამის თანამდებობებზე.

ჩვენში კი, სამწუხაროდ, სამხედრო წოდებების მინიჭება ხდება არა ცოდნისა და გამოცდილების, არამედ სხვადასხვანაირი პირადი გამორჩენის საფუძველზე, თანაც საამისოდ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. ასეთ წოდებამიღებულ მაიორებს, ვიცე-პოლკოვნიკებს და პოლკოვნიკებს შემდეგ გზავნიან საზღვარგარეთის შესაბამის სამხედრო – სასწავლო დაწესებულებებში და ასმენინებენ უფროსი ოფიცრების მომზადების კუსებს ისე, რომ მათ არც უმცროსი ოფიცრების მომზადება გაუვლიათ და არც ჯარებში და შტაბებში სამსახურის გამოცდილება გააჩნიათ. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ოფიცრების ცოდნა მეტად სუსტი იქნება, პრეტენზიები კი მნიშვნელოვნად დიდი. ამავე დროს მათ გვერდით არიან ის ადამიანები, რომლებმაც წლების მანძილზე იმსახურეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში და გაიარეს ოფიცერთა მომზადების ტრადიციული გზა. მაგრამ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რეკომენდაციებით სწორედ ასეთ ადამიანებს იშორებენ სამხედრო სამსახურიდან სამხედრო მომზადების საბჭოთა სისტემის უვარგისობის მომიზეზებით.

ამის საპირისპიროდ შეგვიძლია მოვიყვანოთ 1996 წლის აპრილში კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ჩატარებული ნატოს ბოლკის პირველი წარმომადგენლობითი კონფერენცია თემაზე „მცირე სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარება“, რომლის მსვლელობისას ერთ–ერთი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ამერიკელმა სამხედრო ექსპერტმა ქენეთ ბრაუერმა განაცხადა: ქვეითი ჯარი მაღალი დონისა უნდა იყოს. რუსეთის მაგალითი თქვენ არ გამოგადგებათ. რუსეთის ქვეით ჯარს მხოლოდ ოცეულების დონეზე შეუძლია ბრძოლა. თქვენ კი გჭირდებათ ბრძოლა გუნდების დონეზე, როგორც (ეს ნატოს) პრაქტიკაშია მიღებული და როგორც იბრძვიან ფინელები ტყეებში“.

ჩვენ თავად ვმონაწილეობდით აღნიშნული კონფერენციის მუშაობაში და კარგად გვახსოვს ბატონი ბრაუერის დამატებითი განმარტებაც, რომელიც შემდეგ ბეჭდური სახით გამოცემულ ‘კონფერენციის მასალებში“, ბევრ სხვა დამატებებთან ერთად, არ შეუტანიათ. მან განაცხადა, რომ რუსეთის სამხედრო-სასწავლო დაწესებულებები ამზადებენ ოცეულის საუკეთესო მეთაურებსა და ზემდგომ ოფიცრებს, მაგრამ უფრო წვრილი ქვედანაყოფების ათეულების, სექციებისა და გუნდების დონეზე მათ ბრძოლა შედარებით უჭირთო. მაგრამ ეს სიტყვები სულაც არ ნიშნავს რუსული (საბჭოთა) სამხედრო მომზადების სრულებით უარყოფას. მით უმეტეს იმათი ცოდნის და გამოცდილების, ვინც წლების განმავლობაში გაიარა სამსახური ოცეულის მეთაურიდან ბატალიონის, პოლკის, ბრიგადის ან დივიზიის მეთაურობამდე, უმსახურია სხვადასხვა რანგის შტაბებში.

თუ დასავლურ სამხედრო მშენებლობას რუსულთან შედარებით გარკვეული მიმართულებით უპირატესობანი გააჩნია, მათ შესწავლასა და საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას პროფესიონალი ოფიცრები უფრო მეტად შეძლებენ, ვიდრე ის ადამიანები, ვისაც სათანადო ცოდნისა და გამოცდილების გარეშე უნდათ სამხრეებზე დიდი ვარსკვლავებისა და საჯდომის ქვეშ რბილი სავარძლების მიღება.

რაც შეეხება აშშ არმიაში უმცროსი ოფიცრების მომზადებას, ამ მსმენელებს უწინარეს ყოვლისა ასწავლიან სამხედრო ხელოვნების ისტორიას, ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და სახმელეთო ჯარების ისტორიას, ორგანიზაციას, დანიშნულებას, შეიარაღებას, საბრძოლო შესაძლებლობებს და მხოლოდ ამის შემდეგ – სპეციალურ საგნებს (ოცეულის საბრძოლო შემადგენლობა, შეარაღება და მართვა). ანუ კურსანტებს თავიდანვე უჩვენებენ სამხედრო მშენებლობის ზოგად მიმართულებებს, მიზნებსა და ამოცანებს. ამის საპირისპიროდ საქართველოში ჩამოსული ამერიკელი და სხვა ნატოელი სპეციალისტები უარს გვეუბნებიან მომავლის პერსპექტივების ჩვენებაზე და ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ დღევანდელი საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალების შექმნის შესაძლებლობებზე.

„მრჩეველ - მასწავლებლების“ ასეთი რეკომენდაციები და მათი ქართველი მასპინძლების მდუმარე მორჩილება არ აძლევს საშუალებას ქართულ საზოგადოებას ნატოს ბლოკის პრაქტიკისა და ევროპის მცირე ნეიტრალური სახელმწიფოების, ასევე ისრაელის სამხედრო მშენებლობის გამოცდილების გათვალისწინებით, ნორვეგიის, საბერძნეთის, ფინეთის, შვედეთის, შვეიცარიისა და ისრაელის მსგავსად, თავის ქვეყანაშიც თავდაცვის ისეთი სისტემების მოწყობისათვის ზრუნავდეს, რომელიც საშუალებას მისცემდა ომიანობის დროს ერთი კვირის განმავლობაში შეიარაღებულ ძალებში გაეწვია ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 10% (450-500 ათასი მომზადებული რეზერვისტი), რომელთა შეიარაღებისათვისაც უკვე შეძენილი და საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებული ეყოლებოდა დაახლოებით 600 საბრძოლო ტანკი, 1000-ზე მეტი მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 800-1000 საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმტყორცნი და სხვა შეარაღება.

ამის სანაცვლოდ ‘მრჩეველები“ ქართველ საზოგადოებას ხლართავენ დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების მძიმე ლაბირინთში, დაეინებით გვარწმუნებენ, რომ ეუთო-ს მიერ დადგენილი ჯავშანსატანკო ტექნიკისა და საველე არტილერიის კვოტების ფარგლებში (სულ 220 საბრძოლო ტანკი, 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანა და 285 საველე საარტილერიო სისტემა) შეეძლებთ მცირერიცხოვანი და თანაც 5-მილიონიანი ქვეყნის თავდაცვის უნარის მქონე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას. და რომ ჩვენ სულ ორი-სამი ბრიგადით გადავწყვეტთ იმ ამოცანებს, რისთვისაც ფინური სარდლობა ინახავს 26 ბრიგა-

(გაგრძელება გვ. 8)

რატომ პრის ქერხნული პური ჯანმრთელობისთვის მავნე და როგორია მისი სწორი მომზადების წესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 წელს აშშ-ში ნამდვილი სენსაცია გამოიწვია ექიმ-ონკოლოგის ნატუროპათ ლ. სტროგარტის წიგნმა „კიბო“. ავტორმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სიმსივნური დაავადების წარმოშობაში უმთავრეს როლს თამაშობს არა ატმოსფეროს გაჭუჭყიანება, ნერვული სტრესები, მავნე სამუშაო პირობები, თამბაქოს წევა, ჭარბი რაოდენობით ხორცის მიღება და ა.შ. (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ფაქტორი ხელს უწყობს და აჩქარებს ამ საშინელი დაავადების განვითარებას), არამედ უპირატესი მოხმარება... გაწმენდილი ხორბლის.

პროფესორმა ლ. სტროგარტმა ერთმანეთს შეადარა კიბოთი სიკვდილიანობის მაჩვენებელი იმ ხალხთა შორის, რომლებიც საკვები კულტურის სახით იყენებენ ხორბალს (აშშ, კანადა, ევროპა), ბრინჯს (ძირითადად, აღმოსავლეთის ქვეყნები) და სიმინდს (მაგალითად: ინდიელები, მოლდაველები, სამეგრელო). აღმოჩნდა სენსაციური კორელაცია: კიბოთი ყველაზე მეტი დაავადება და სიკვდილიანობა „ხორბლის“ ქვეყნებშია, შემდეგ მოდის „ბრინჯოვანი“ და „სიმინდოვანი“ ქვეყნები (სადაც ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია).

ერთი შეხედვით ეს თითქოს პარადოქსია. როგორ შეიძლება, ხორბალმა და მისგან მიღებულმა პურმა ასეთი ზიანის მოტანა შეძლოს, მით უმეტეს, რომ ყველასათვის ცნობილია, იგივე ამ ხორბლის მარცვლების გაღივებით მიღებული პროდუქტი ლამის ყველა დაავადების სამკურნალოდ შეიძლება გამოიყენოთ და უფრო მეტიც! იმავე ლ. სტროგარტის გამოკვლევებით, ხორბალში შემავალი ე ვიტამინი (რომლის რაოდენობა ხორბლის გაღივებისას მნიშვნელოვნად მატულობს) იცავს (მკურნალობს კიდეც) ორგანიზმს კიბოსაგან.

იქმნება წინააღმდეგობა: ხორბალში არის კიბოსსაწინააღმდეგო ფაქტორი, ხორბლისაგან მიღებული პურის ჭარბი მოხმარება კი კიბოს წარმოშობის შანსს ზრდის. სინამდვილეში არავითარი წინააღმდეგობა არ არის. ყველაფრის თავი და თავი ხორბლისაგან პურის მიღების ტექნოლოგიაში მდგომარეობს.

როგორ გადააქცევენ ხორბლის მარცვალს მავნე პროდუქტად:

პურს ამზადებენ ფქვილისაგან, რომელიც ხორბლისაგან იწარმოება. ხორბლის შედგენილობაში შედის: ენდოსპერმა – 85% (ძირითადად სახამებელი); ჩანასახი –15% (მარცვლის ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნაწილი); გარსი – კანი – 14%. გაღივებულ ხორბალს რაც კი სასარგებლო თვისებები გააჩნია, ეს მხოლოდ მარცვლის ჩანასახთან და მის ხუთშრიან ცილოვან გარსთან არის დაკავშირებული. ჩანასახში და გარსში თავმოყრილია ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები. ფქვილი და დამუშავებული მარცვალი არ შეიცავს არც გარსს და არც ჩანასახს, და, მაშასადამე, ორგანიზმისთვის აუცილებელ იმ ნივთიერებებს, რაც მარცვალშია. საბოლოოდ რჩება შიშველი სახამებელი, რომელიც ყოველგვარი ცოცხალის თვისებებს მოკლებულია. იმისათვის, რომ პურს მისცენ საგემოვნო თვისებები, მას უმატებენ სხვადასხვა ნივთიერებებს, რაც მთელი რიგი პათოლოგიების გამომწვევია, კერძოდ:

1. პურს უმატებენ მარილს. მარილი კი ნაწლავების კედლებიდან იწოვს სითხეებს, რაც იწვევს კედლების სიმშრალეს, დაავადებებს და შეკრულობას.

2. პურს უმატებენ ხელოვნურ ვიტამინებს. ხელოვნური ვიტამინები რომ ორგანიზმმა აითვისოს, სჭირდება დიდი ენერგიის დახარჯვა.

3. ფქვილს თეთრი ფერის და გემოს მისაცემად უმატებენ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებს. ეს ნივთიერებები გროვდება სისხლძარღვების კედლებში, მყესებში, ღვიძლში.

4. ცომის ამოსაყვანად მას უმატებენ საფუარს. ყველაზე მეტი ზიანი პურში არსებულ საფუარს მოაქვს. პურის საფუარი ანადგურებს მსხვილ ნაწლავში არსებულ სასარგებლო ბაქტერიებს, რაც დისბაქტერიოზს იწვევს.

5. ხორბლის ფქვილი შეიცავს წებოვანას. 1982 წელს ამერიკაში გამოცემულ „სამედიცინო ცნობარში“ კიბოს წარმოშობის მექანიზმი შემდეგნაირადაა გადმოცემული: „როცა წვრილი ნაწლავების მფარავი ლორწოვანი გარსი კარგავს რბილ სტრუქტურას და მყიფე ხდება, ამის შედეგად ნაწლავები საკვები ნივთიერებების შეწოვის ფუნქციას კარგავენ“. ეს არცაა გასაკვირი: პურის ფქვილი შპალერს აწებებს ბეტონის კედელზე და მასში შემავალი წებოვანა ნაწლავის ნაზ ლორწოვან გარსს რას უზამს! თვით ხორბლის მარცვალი კი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ამ წებოვანას გახსნის, მაგრამ მარცვლის დაფქვის დროს ის ღერღილში რჩება.

უსაფუარო პურის დამზადების მეთოდი:

მეთოდი №1: 4-5 ჩაის ჭიქა II ხარისხის ფქვილისაგან და 0,5 ლ ცივი „ბორჯომისაგან“ ვამზადებთ ცომს. ცომი უნდა იყოს პლასტიკური და თითებს არ ეწებებოდეს. ცომს ვაძლევთ სასურველ ფორმას, გავფენ ფქვილდაფენილ ტაფაზე და მოვათავსებთ გახურებულ ღუმელში. პური მზადაა 1-1,5 საათის შემდეგ, ლავაში – 20-30 წუთის შემდეგ.



მეთოდ №2: ვიღებთ 1 კგ II ხარისხის ფქვილს, 100გ მზესუმზირას ზეთს, 100გ თაფლს და 1 ჩაის ჭიქა ცხელ წყალს (შეიძლება „ბორჯომიც“). ვამზადებთ ცომს, ცომისაგან – ლავაშებს და ვაშრობთ ღუმელში 45-48C° ტემპერატურაზე. ასეთი პური წააგავს სომხურ ლავაშს; ყველა უჯრედი მასში ცოცხალია. ინახება მაცივარში, პოლიეთილენის პარკში.

მეთოდი №3: უსაფუარო ფუნთუშა. 2 ჩაის კოვზი შედედებული რძე („სგუშონკა“) გავაზავოთ 1 ჭიქა „ბორჯომში“, შევურიოთ ფქვილი. ცომი არ უნდა მიეკრას თითებს. წავუსვათ კვერცხის ცილა და მოვათავსოთ თბილ ღუმელში.

შენიშვნა: სამივე მეთოდით ცომის დამზადების წინ ფქვილი უნდა მოვხალოთ ღუმელში ან ტაფაზე, გულდასმით ვურიოთ, არ დავუშვათ ფქვილის ფერის შეცვლა, შემდეგ გავცრათ.

მეთოდი №4: ეს მეთოდი განკუთვნილია მათთვის, ვინც სისტემატურად ვერ ახერხებს წინა მეთოდებით პურის დამზადებას. ქარხნის საფუარიანი პური გამოყენების წინ 1-2 დღით გავაჩეროთ მაცივარში. შემდეგ მოვხალოთ მზეზე ან ღუმელში. მართალია, პურში მაინც დარჩება საფუარი, მაგრამ თერმოფილური საფუარის აქტივობა მნიშვნელოვნად შემცირდება და ასეთი პური ნაკლებად საზიანო იქნება. გარდა ამისა, გამხმარი პური უკეთესად გადამუშავდება და შეითვისება, იმიტომ რომ მისი ღეჭვისას დიდი რაოდენობით სახამებელის დამშლელი ნერწყვი გამოიყოფა. რბილ და ფორებიან პურზე კი ნერწყვი თითქმის არ გამომუშავდება.

ქატოს სამკურნალო თვისებები

როგორც ავღნიშნეთ, ორგანიზმისათვის აუცილებელი და საჭირო ნივთიერებები (ვიტამინები, მიკროელემენტები, კიბოსაწინააღმდეგო ფაქტორი და ა.შ.) ხორბლის მარცვლის დაფქვის და გაცრის შემდეგ ღერღილში – ქატოში რჩება. რაკი ეს ასეა, რატომ არ შეიძლება ქატო გამოვიყენოთ სამკურნალო მიზნით? აი, რას წერენ ქატოს შესახებ ცნობილი გასტროენტეროლოგები: „ხორბლის ფქვილის გაცრით ქატოს გამოცალკავება ზედმეტი ფუფუნებაა და გაუცრელი ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი პური ჯანმრთელობისათვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე თეთრი პური... სტატისტიკამ ცხადჰყო, რომ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა ძირითადად უფრო პურით და ცხოველური პროდუქტებით იკვებება და ნაკლებად ხმარობს საკვები ბოჭკოებით მდიდარ მცენარეულ პროდუქტებს და შავ პურს, ბევრად უფრო ხშირია შეკრულობა. იმავე ქვეყნებში მსხვილი ნაწლავის კიბო უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე აფრიკაში და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა სიღარიბის გამო ძირითადად გაუცრელი ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარ შავ პურს და მცენარეულ საკვებს იღებს“.

ქატოს ხმარების წესი: ქატოს წინასწარ დავმდუღრავთ მდუღარე წყლით. 20-30 წუთის შემდეგ სითხეს გადავდვრით. ქატო დარბილდება და გაჯირჯვდება. გემოს გაუმჯობესების მიზნით, შეიძლება ქატოს ფაფას დავამატოს კისელი, ყველანაირი კერძი. მოხვდება რა კუჭში, ქატო არ განიცდის არანაირ ცვლილებას და აკავებს რა წყალს, ხვდება ნაწლავებში, სადაც აჩქარებს შლამების, ტოქსინების გამოყოფას.

პროფილაქტიკური კურსი (იმ ადამიანებისათვის, რომლებიც გარეგნულად ჯანმრთელად გრძნობენ თავს, მაგრამ სურთ ნაწლავები გაწმინდონ შლამებისაგან, ტოქსინებისაგან და უზრუნველყონ კუჭ-ნაწლავის კარგი მოქმედება):

2 კვირა – 1 ჩაის კოვზ წყალთან ერთად, დღეში ერთჯერ, ჭამის წინ.

2 კვირის შემდეგ: 1 სუფრის კოვზ წყალთან ერთად, დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ (ამ დოზით მიღება გრძელდება მანამ, სანამ ნაწლავები ნორმალურ მუშაობას დაიწყებს).

ნაწლავების ნორმალური მუშაობის დაწყების შემდეგ: 2 ჩაის კოვზი დღეში. ამ დოზით მიღება გრძელდება 2-3 კვირის განმავლობაში.

სამკურნალო კურსი (იმ ადამიანებისთვის, რომელთაც ნაწლავების მხრივ პრობლემები აქვთ: მუცლის ბერვა, საჭმლის მოუნელებლობა და აშშ):

7-10დღე – ერთი ჩაის კოვზ წყალთან ერთად დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ (ამ დროს მოსალოდნელია მუცლის ბერვა და ტკივილი. არაფერია საშიში. ეს მოვლენები თანდათანობით გაქრება).

შემდეგი 7-10 დღე – 2 ჩაის კოვზი დღეში 3-ჯერ.

როგორც კი აღდგება კუჭის კარგი მოქმედება, ეფექტის შენარჩუნებისათვის ეს დოზა უნდა დარჩეს 2 კვირა. 2 კვირის შემდეგ ჩამოვდივართ ერთი ჩაის კოვზამდე დღეში 3-ჯერ და ასე გაგრძელდეს 6 კვირა. შემდეგ კი ავადმყოფმა შეიძლება დღეში მიიღოს ერთი ჩაის კოვზი ერთჯერ, დილით, ჭამის წინ.

ქატოს ჯერძები :

1) ქატოს ნახარში: 200გ ქატო კარგად გავრეცხოთ. ჩავუშვათ 1 ლ მდუღარე წყალში და ვადუღოთ ნელ ცეცხლზე 1 საათის განმავლობაში. ნახარშს დავუმატოთ მცირეოდენი ლიმონის წვენი.

2) ქატოს შეჭამადი (მათთვის, ვისაც უყვარს გემრიელი კერძები):

100გრ ქატოს წინასწარ დავმდუღრავთ მდუღარე წყლით. 20-30 წუთის შემდეგ სითხეს გადავდვრით. დამდუღრულ ქატოს გავატარებთ ხორცსაკეებში 200გ კურკამოცლილ შავ ქლიავთან და 100გ ლეღვთან ერთად.

მიღება: ჭამამდე 1 საათით ადრე. ზემოთ დასახელებული რაოდენობა 3-ჯერ მიღების ნორმაა.

მოსალოდნელი შედეგები: ქატო – როგორც ცალკე, ასევე ნახარშის, შეჭამანდის სახით, წმენდს ნაწლავებს, აუმჯობესებს ნაწლავთა პერისტალტიკას, კუჭის მოქმედებას, აკავებს მსხვილ ნაწლავში წყალს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

შენიშვნა: ქატოთი მკურნალობის პერიოდში სასარგებლოა დიდი რაოდენობით წყლის მიღება (6 ჭიქამდე კი).

წყლულოვანი დაავადების გამწვავების დროს ქატოს მიღება არ შეიძლება. ქატოს დიდი ხნით შენახვა არ შეიძლება, ის მწარე გემოს იღებს.

სასარგებლო თუ მავნე პროდუქტია ხორცი

ხორცეულობა ადამიანის კვების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს. ადამიანთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ ხორცი აუცილებლად უნდა შედიოდეს კვების რაციონში, მის გარეშე ადამიანი დასუსტდება, ფიზიკურად ვერ განვითარდება და .შ. მეორე ჯგუფი კი თვლის, რომ ხორცის ჭამა მავნეა, მთელი რიგი დაავადებების წარმოშობის მიზეზია და ა.შ. რომელი შეხედულებაა სწორი? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ჯერ განვიხილოთ – ადამიანი თავისი აგებულებით, ფიზიოლოგიით ხორცისმჭამელია თუ ბალახის-მჭამელი. ამისათვის ვისარგებლოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილით (ცხრილი №1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ადამიანი ღმერთმა შექმნა ბალახისმჭამელ არსებად. ანატომებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანის ორგანიზმი სრულიად ანალოგიურია ბალახისმჭამელი ცხოველების ორგანიზმთან. წმინდა წერილის მიხედვით, ადამიანს უნდა მიეღო საკვები ედემის ბაღიდან. მხოლოდ ბიბლიური წარღვნის შემდეგ ღმერთმა ადამიანს ზნეობრივად დაცემასთან დაკავშირებით დართო ნება ეჭამა ხორცი, თან იმავე დროს, მკაცრად აუკრძალა სისხლის დალევა.

ამრიგად, რას წრმოადგენს ხორცი?

1. ხორცი – ძნელადგადასამუშავებელი პროდუქტია. მისი სრული დაშლის რიაქცია 6-8 საათს მიმდინარეობს. დაშლის ეს ქიმიური რეაქცია ფორმულებით რომ დაგვეწერა, ორ სასკოლო დაფას დაიკავებდა.

2. ხორცი– ადვილადლპობადი პროდუქტია.

(გაგრძელება გვ. 8)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ არის ქარხნული პური ჯანმრთელობისთვის მავნე და როგორია მისი სწორი მომზადების წესი

ადამიანის კუჭის წვენი აქტიურობით 10-ჯერ უფრო სუსტია, ვიდრე ხორცისმჭამელი ცხოველების კუჭის წვენი. სუსტ კუჭის წვენს არ შესწევს ძალა გადაამუშაოს გადაყლაპული ხორცის ნაჭერი და ეს ნაჭერი ლპება.

3. ხორცი – დულილის გამომწვევი პროდუქტია.

გადაუმუშავებელი ხორცის ნაჭერი კუჭში და ნაწლავებში იწყებს დულილს, განსაკუთრებით თუ მას „მიეხმარა“ პური, რომელიც საფუარზეა მომზადებული. გამომუშავდება ეთილოვანი ნაერთები, რომელებიც ახლოს არიან სპირტ-დენატურატთან. ამის შედეგად ბავშვებს ადრეული ასაკიდან უვითარდებათ სანაღვლე გზების და ნაღვლის ბუშტის დაავადებები.

4. ხორცი – ტოქსინების, შხამების წყაროა.

გადაუმუშავებელი, შხამებად ქცეული ხორცი ყოვნდება ნაწლავებში (რადგანაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ნაწლავები ძლზე გრძელია – 6-ჯერ გრძელია სხეულზე). ეს შხამები ხვდება ღვიძლში, თირკმელში, სისხლში, სახსრებში, ყველა უჯრედში და გამოჰყავს ისინი მწყობრიდან. ნაწლავურ აუტოინტოქსიკაციას (ანუ თვითმოწამვლას) ი. მეჩნიკოვი თვლიდა ძირითად შემაფერხებელად ადამიანის დღეგრძელობის მისაღწევად.

5. ხორცი – საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების წარმოშობის წყაროა.

თუკი რადაც ეტაპზე შეწყდა ხორცის დაშლის პროცესი ორგანიზმში (დავუშვათ ხელახლა მიღებული საკვებით), მაშინ ქიმიური რეაქცია ჩერდება შუალედურ სტადიაზე, რის შედეგადაც სისხლში დაშლის შუალედური პროდუქტები მოხვდება. ეს პროდუქტები კი მომწამლავია. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ისეთი საშინელი მომწამვლელი საბრძოლო ნივთიერებები, როგორებიცაა ზარინი, ზომანი, იპრიტი, რომელთა ერთ გრამსაც კი ათასობით ადამიანის მოსპობა შეუძლიათ, პირველად სწორედ ხორცის დაშლის შედეგად მიიღეს.

6. ხორცი – შეკრულობის წარმოშობის ძირითადი მიზეზია.

ხშირად შეკრულობის მიზეზია საკვებად მაღალკალორიული, მცირე მოცულობის, მცენარეული ბოჭკოების არ შემცველი (ბუტერბროტები) პროდუქტების გამოყენება. ამ მავნე ჩვევას მივყავართ იქამდე, რომ ნაწლავებში განავლოვანი მასები მცირე რაოდენობით წარმოიშობა და ბუნებრივი მოთხოვნილებები გარეთ გასვლაზე თითქმის არ არის ან საერთოდ არ არსებობს. ხალხი ამ მდგომარეობას ეჩვევა და ხშირად ვერც კი ხვდებიან, რომ მათ აქვთ შეკრულობის ფარული ფორმა. ასეთ დროს ადამიანს აწუხებს თავის ტკივილები, თაბრუსხვევა, ძილიანობა, დეპრესია, გრძნობს მუცლის ქვედა ნაწილში სიმძიმეს და შებერილობას.

7. ხორცი იწვევს ნაწლავებში განავლოვანი ქვების დაგროვებას.

8. ხორცი ხელს უწყობს ნაწლავებში მავნე მიკროორგანიზმების გამრავლებას და სასარგებლოს დათრგუნვას.

9. მეთანის წყარო – ლპობადი ცხოველური ცილებია.

მეთანი ანუ ბუნებრივი გაზი სპობს B ჯგუფის ვიტამინებს, რაც თავის მხრივ იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, არ ხდება უჯრედების უკონტროლო ზრდის შეჩერება – ორგანიზმის ბუნებრივი სიმსივნისსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა ირღვევა.

10. ხორცი არის მიზეზი საშარდე გზებში ურატული სილის, ქვების გაჩენისა.

11. ხორცი – გვამური შხამების წყაროა.

ცხოველის დაკვლიდან 2 საათის შემდეგ წარმოიქმნება გვამური შხამები. დადგენილია, რომ ეს შხამები დამუშავების, შეწვის ან მოხარშვის შემდეგაც კი ინარჩუნებენ აქტივობას და ხვდებიან ორგანიზმში. განა ხშირად ვყიდულობთ ასეთ ხორცს, როცა ცხოველის დაკვლიდან 2 საათზე ნაკლები იყო გასული?

12. ხორცი – მავნე მადიკამეტების წყაროა.

იმისთვის, რომ საქონელმა წონაში მოიმატოს ზოგჯერ მას საკვებთან ერთად აძლევენ ქიმიკატების დიდ დოზებს: ჰორმონებს, ანტიბიოტიკებს და ა.შ. ეს ნივთიერებები ხორცთან ერთად ჩვენს ორგანიზმში ხვდებიან.

13. ხორცი – კიბოსგამომწვევი ნივთიერებების – კანცეროგენების წყაროა.

ხორცის ნაწარმებს: სოსისებს, ძეხვებს (განსაკუთრებით იმპორტულს) უმატებენ სხვადასხვა კონსერვატებს, ნიტრატებს და შემავსებლებს. ეს ნივთიერებები შეიძლება კანცეროგენული აღმოჩნდეს. დადგენილია ისიც, რომ ხორცის პროდუქტების შეწვის დროსაც ეს ნივთიერებები წარმოიშობა.

14. ხორცი – ხშირ შემთხვევაში ნევროზის, აგრესიული ქცევების წარმოშობის წყაროა.

შემჩნეულია, რომ იმ ადამიანებში, რომლებიც ხშირად ღებულობენ ხორცს, ხშირია ნერვოზები, ქცევის აგრესიული გამოვლინებები, ვიდრე მათში, ვინც ვეგეტარიანელია.

ეს არ არის შემთხვევითი. როცა ცხოველს კლავენ, მაშინ სიკვდილის წინა მომენტში ცხოველს სისხლში შიშისა და აგრესის იმდენი ჰორმონი გადაისროლება, რომ შემდგომ ხორცის არანაირი გაყინვა და თერმული გადამუშავება საქმეს არ შველის – ყოველივე ეს ფაქტორები გადადის ამ ხორცის მომხმარებელი ადამიანის ბიოსისტემაში.

შ. საბახტარაშვილი

სამკურნალო წიგნი, ტ.4.

თბილისი, 1997წ.

ხორცისმჭამელი ცხოველები	ბალახისმჭამელი ცხოველები	ადამიანი
1. ბრმანაწლავის გაგრძელება აპენდიქსი (ჭიანაწლავი) – არა აქვს.	1. აპენდიქსი – აქვს	1. აპენდიქსი – აქვს
2. ბრჭყალები – აქვს	2. ბრჭყალები – არა აქვს	2. ბრჭყალები არა აქვს
3. ძლიერად განვითარებული ეშვები	3. სუსტად განვითარებული ეშვები	3. სუსტად განვითარებული ეშვები
4. ძლიერად განვითარებული მჭრელი კბილები	4. ბლაგვი მჭრელი კბილები	4. ბლაგვი მჭრელი კბილები
5. ძირითადი კბილები პატარაა, წამახვილებული, ყბების ჩაკეტვისას ერთმანეთს არ ეხება	5. ძირითადი კბილები ფართოა, ბრტყელი, ყბების ჩაკეტვისას ერთმანეთს ეხება	5. ისეთივეა, როგორიც ბალახისმჭამელებში.
6. სანერწყვე ჯირკვლები – სუსტად განვითარებული, ნერწყვი – მჟავე რეაქციის და არ შეიცავს სახამებლის დამშლელ ფერმენტებს.	6. სანერწყვე ჯირკვლები – კარგადგანვითარებული, ნერწყვი – ტუტე რეაქციის და შეიცავს სახამებლის დამშლელ ფერმენტს – ფტეალინს.	6. ისეთივეა, როგორიც ბალახისმჭამელებში
7. კუჭი გამოყოფს ძალზე აქტიურ კუჭის წვენს ცხოველების კუნთების, ძვლების გადასამუშავებლად.	7. კუჭის წვენი 10-ჯერ უფრო სუსტია, ვიდრე ხორცისმჭამელი ცხოველების კუჭისწვენი.	7. ისეთივეა როგორიც ბალახისმჭამელებში
8. ნაწლავის სიგრძე 3-ჯერ აღემატება ცხოველის ტანის სიგრძეს	8. ნაწლავი 6-ჯერ გრძელია სხეულზე.	8. ისეთივეა როგორიც ბალახისმჭამელებში.

აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

წერილი 6. აშშ სახმელეთო ჯარების ოფიცერთა კადრების მომზადება

დას და კიდევ 150 ტერიტორიული დაცვის ცალკეულ ბატალიონსა და ასეულს, შვეიცარიული სარდლობა კი –13-14 დივიზიასა და სხვა ჯარებს. ქართული საზოგადოების მეტი დეგრადირება და საკუთარი ქვეყნის თავდაცვაზე, საკუთარი სახლ-კარის, სიცოცხლის, ქალებისა და ბავშვების ნამუსის, დაცვაზე ასეთი უზრუნველობა და უდარდელობა, რაღა უნდა იყოს.

ასეთია ე.წ. ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს მიერ უკანასკნელ ათწლეულში შეძენილი „მეგობრების“ რჩევები. ამაზე დამატებით შეგვიძლია კიდევ ვთქვათ, რომ რუსულ სამხედრო პერიოდიკაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რაც კერძო სუბრებში ამერიკაში ნასწავლმა ოფიცრებმაც დაგვიდასტურეს. აშშ სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში ჩასულ უცხოელ (მათ შორის ქართველ) ოფიცრებს ასწავლიან ამერიკელებისთვის დადგენილი პროგრამების მიხედვით, მაგრამ სასწავლო საათების რაოდენობა მნიშვნელოვნად აქვთ შემცირებული, თანაც ამას აკეთებენ მსმენელების თვითმმოზადებისა და სამეცნიერო მუშაობის ხარჯზე (იგივე ხდება დღევანდელ რუსეთშიც). ანუ იქ ჩასული ქართველი ოფიცრები, რომელთა ცოდნასაც ჩვენში ასე აფასებდნენ, ისმენენ ლექციებს და გადიან პრაქტიკულ მეცადინეობებს, მაგრამ მოკლებულნი არიან ლიტერატურაზე მუშაობისა და საკუთარი თემების დამუშავების შესაძლებლობას. თავისთავად ცხადია, რომ მათი ცოდნაც ზერელე და ნაკლული იქნება. ასეთია ოკეანისგაღმელი მეგობრების დამოკიდებულება საქართველოს სამხედრო მშენებლობისადმი.

მეორეს მხრივ თავად საქართველოში საკმარისი ლიტერატურა და კადრებია ქვეყნის სამხედრო მშენებლობის ჯანსაღ ნიადაგზე დასაყენებლად, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფალთ ამერიკული გრანტები და კრედიტები უფრო მომხიბლავად მოეჩვენათ, ვიდრე საკუთარი ქვეყნის თავდაცვის და ეროვნული უსაფთროების უზრუნველყოფა. თუ ასე გაგრძელდება, მათ მოუწევთ თავდაცვისუუნარო და მტრის მოყვრად მიმღები მცირე სახელმწიფოს მიერ გადასატანი დამცირებისა და უბედურებების საკუთარ თავზე გამოცდა.

დასასრულს გვინდა ორიოდე სიტყვათ შეეხოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში ლეიტენანტების მომზადების პრაქტიკას. აქ, ჯერ კიდევ 2000 წლიდან გადავიდნენ სწავლების ერთწლიან პროგრამაზე, რისთვისაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა იმიზეზებდა კვალიფიციური მასწავლებლების სიმცირეს?! მსმენელებად ღებულობენ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს და ამასთან სამოქალაქო განათლების მიღება მათ აღარ სჭირდებათ, მაგრამ არც სამხედრო მომზადებისათვის არის საკმარისი ერთი წელი. ამ ერთ წლიწადში შეუძლებელია კურსანტებმა ისწავლონ ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდების სამხედრო ხელოვნების ისტორია, თანაც პოლიტიკურ ისტორიასთან მჭიდრო კავშირში გაეცნონ შეიარაღების განვითარებას XIX – XX საუკუნეებში, რაც დაკავშირებულია სამეცნიერო – ტექნიკურ რევოლუციასთან. პირველი და მეორე მსოფლიო ომების მიმდინარეობასა და ძირითად ოპერაციებს, უკანასკნელი ათწლეულების ლოკალური ომების გამოცდილებას, თანამედროვე შეიარაღებული ძალებისა სამხედრო ჯარების ამოცანებს, შეიარაღებას, საორგანიზაციო სტრუქტურას, საბრძოლო გამოყენების ზოგად საფუძვლებს, ჯართა სხვადასხვა გვარეობების (სატანკო, მოტოქვეითი, ქვეითი, საპარაშუტო – სადესანტო და სხვა) ოცეულების, აგრეთვე საბრძოლო უზრუნველყოფის (საარტილერიო, საზენიტო, ტანკსაწინააღმდეგო, საინჟინრო–მესანგრეთა, კავშირგამბულობის, ქიმიური დაცვისა და ა.შ.) ქვედანაყოფების მართვას ანუ ერთწლიანი კურსის გამოშვებულნი ვერ შეძლებენ საკუთარი ფესვების გადგმას სამხედრო საქმეში და „ქარს აყოლილები“ ადვილი სამართავი იქნებიან ქვეყანაში ცხერის ქურქით შემოსული უცხო მგლების ხელში. ვინც მოისურვებს სამხედრო საქმეში ფესვების გაშვებას, მას უკვე სწავლის დასრულების შემდეგ სამსახურის პერიოდში მოუწევს იმ ცოდნის მიღება, რისი საშუალებაც ერთწლიან კურსებზე უბრალოდ ვერ ექნებოდა.

ამ აშკარა ნაკლოვანების შესავსებად საქართველოს გაერთიანებულ აკადემიაში სასწავლო პროცესის ნაწილი გადასცეს თურქებს და მათ შემოიღეს ლეიტენანტის მომზადების ხუთწლიანი პროგრამა, რაც ჯდება მსოფლიო პრაქტიკის ფარგლებში. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ თურქი სპეციალისტები ქართველი უმცროსი ოფიცრების მომზადებას წაიყვანენ არა საქართველოს ეროვნული ინტერესების, არამედ თურქული ინტერესების განხორციელების გზით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ 1990-იან წლებში ნატოს სახელმწიფოთა მიერ სამხედრო საქმეების შემცირების ფონზე თურქებმა ეს ხარჯები 5-დან თითქმის 11–მილიარდ დოლარამდე გაზარდეს, ხოლო აშშ და გერმანიამ მიაწოდეს მას შედარებით თანამედროვე შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსების ჩათვლით (სროლის სიშორე 200 კმ-მდე), მაშინ სულ ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, რომ კავკასია–ცენტრალური აზიის მიმართულებით დასავლურ-თურქულ ალიანსს მეტად სერიოზული და მაშტაბური ექსპანსიონისტური მიზნები უნდა გააჩნდეს.

ასე რომ, ყოველივე ეს ცხადად მეტყველებს, ჩვენ ხელისუფლებას მეტი სიფხიზლე და გონიერება მართებს, რომ მერე გვიანი არ იყოს თითზე კბენანი.

ირაკლი ხართიშვილი

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ № 064-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.